ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, ანგარიშში წარმოგიდგენთ 2025 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ ყველა იმ განცხადების შესახებ ინფორმაციას, რომელიც მოიპოვება ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში (შემდგომში სპორტის სასახლე).

ინფორმაცია სპორტის სასახლეში შემოსული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ

2025 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სპორტის სასახლეში სულ 1 (ერთი) განცხადება შემოვიდა. განცხადება დაკმაყოფილდა.

საანგარიშო პერიოდში მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის შესწორების შეტანის თაობაზე სპორტის სასახლეში არ შემოსულა.

ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში საჯარო ინფორმაციის გაცემასა და უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ პირს წარმოადგენს სპორტის სასახლის დირექტორი შოთა დავითაძე.

საჯარო მონაცემთა ბაზებისა და სპორტის სასახლის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ

სპორტის სასახლეში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა, სადაც თავს იყრის ყველა სახის კორესპოდენცია, მათ შორის საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებებიც. სპორტის სასახლეს არ გააჩნია ცალკე საჯარო მონაცემთა ბაზა.

რაც შეეხება პერსონალურ მონაცემებს, სპორტის სასახლის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და სხვისთვის გადაცემა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გასაზღვრული წესების შესაბამისად.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების შესახებ

საანგარიშო პერიოდში სპორტის სასახლეში თანამშრომელთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევას ადგილი არ ჰქონია და შესაბამისად, დისციპლინური სახდელების დადების შემთხვევა არ ყოფილა.

საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც სპორტის სასახლე ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე

სპორტის სასახლე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი 2025 წელს არ უთქვამს შესაბამისად ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები

2025 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით სპორტის სასახლეს საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემის ხარჯები მოსაკრებლის სახით არ გაუწევია.

სპორტის სასახლის დირექტორი: შ. დავითაძე